საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 11 ივლისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 152

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

თავზარდაცემულნი მეუღლე მიხეილ ივანეს ძე, შვილები: თამარია, ოლა, შალვა, ელენე, ვახტანგი და ქეთო, რძალი მარიამი ივანეს ასული კალანდაძენი, სიძე პოლიევქტი ილარიონის ძე ჯიბლაძე ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

**მარიამ დიმიტრის ასულის კალანდაძისას**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. დაკრძალვა შაბათს 12 მკათათვეს წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება პადგორნი პრახოდი № 3. (2—2)

გულმოკლულნი დედა ასპირო, მამა გაბრიელ, ძმები: პლატონ, ალექსანდრე და გრიშა; დები: ქოლა, ვარდო, ტერეზი, მარო და ტაშო, სიძეები: პავლე ელენტი, ილიკო თავამაიშვილი და ბიკტორ ინწკირველი, დის შვილები: ნინა და ფუდულია აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 12 ივლის გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვალებულის

**სამსონ გაბრიელის ძე მდინარაძის**

სოფ. ვაკიჯვარში (გურია) ვაკიჯვრის ეკლესიაზე. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ანტონ და ოლინკა, დები: ფედოსი და ნინა, ძმები: ისაკი და შალიკო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 12 ივლისს 12 საათზე ს. ახალშენში (გურია) მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ახალგაზრდა თავდადებულ მებრძოლის

**ანგი ანტონის ძე პუკულავას**

სულის მოსახსენებლათ.

თეოლინა ნაკაშიძის ასული ერისთავისა, დავით თომას ძე ერისთავი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს ივლისის 12 გადახდილი იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის და სიდედრის

**პელაგია ალექსანდრეს ასული ნაკაშიძის**

სულის მოსახსენებლათ ოზურგეთის სობოროში.

კიდევ მწუხარებით მოცულნი, ნუგეშ მიუღებელნი უბედური მშობლები: ქიფო და ნესტორ, ბებია სალომე, დები: ფატუშა, ნუცა, ლიზიკო და ლიოლია, ძმები: დათიკო, მიხაკო და ილია, რძლები: ვასილა, პლატონიდა და ილია, ძმისწულები: სოლომონ, ნესტორ. ვალერიან, ნარგიზა და ქეთო ელიაძეები—მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 12 ივლისს, ქ. ოზურგეთის ექადიის სასაფლაოზე დანიშნულია გარდაცვალებიდან წლისთავის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი ოჯახის სიამაყისა და სამშობლოსთვის თავგანწირულის უდროვოთ დაღუპულის შტაბს-კაპიტ.

**შალიკო ელიაძის**

გასახსენებლათ, რომელიც ახალ ათონში ბალშევიკთა ბრძოს მიერ გულგანგმირული მამაცურათ დაეცა.

ხაშურის რკინის გზის სკოლების მასწავლებელთა კორპორაცია აცხადებს დიდ მწუხარებას ძვირფასი ამხანაგის მასწავლებელ

**მიხეილ (მიშა) ლომიძის**

უდროოდ დაკარგვის გამო.

სურამის დემოკრატიული ჯგუფი გულითადი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, გარდაცვალებას დაუვიწყარი წევრისა და ამხანაგის

**მიხეილ (მიშა) ესტ. ლომიძისა**

რომლის დასაფლავების დღე არის დანიშნული შაბათს 12 ივლისს ქ. სურამში.

გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მეუღლე ქრისტინა ვასილის ასული და შვილები კონსტანტინე, ნინო და ოლღა შალამბერიძეები გარდაცვალებას

**ივანე მიქელის ძე შალამბერიძის.**

გამოსვენება მოხდება ქუთაისში მესხეთის ქუჩაზე საკუთარი ბინიდან 12 ივლისს დილით, შაბათს დილის 9 საათზე და მისვენება მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში 12 საათზე. (2—1)

**მოქალაქეთა საყურადღებოთ!**

შაბათს, 12 ივლისს თფილისის ყველა თეატრებში, კლუბებში და საზაფხულო ბაღებში გაიმართება

**ცეცხლის მქრობელთა რაზმის დღე**

შემოსავალი გადაიდება ცეცხლის მქრობელთა კასის ფონდის გასაძლიერებლად. წარმოდგენები, კონცერტები, ლოტო, ცეკვა, ლატარეა-ალეგრა, მუსიკა და სხვ.

დაწვრილებით აფიშებში. პატივისც. კომისია. (2—1)

**ქართული კლუბის ბაღი**

კვირას, 13 ივლის 1919 წელს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა**

ლატარია-ალეგრით.

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლის სროლა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხ.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 12 საათ. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 5 მან. მოწაფეთათვის და ჯარისკაცთათვის 3 მ. წმინდა შემოსავლის 20 პროც. გადაიდება წით. ჯვრის სასარგებლოდ.

## ჩვენ და სომხეთი

ჩვენ პარტიული სასტიკი ბრძოლა გვაქვს დაშნაკელების პარტიასთან. ჩვენ აქ ვართ მართველი პარტია, დაშნაკელები სომხეთში. ცხადია ეს მწვავე პარტიული პოლემიკა, რომელიც გამოწვეულია „აშხატავორის“ უმსგავსო წერის კილოთი და ყალბი დემოკრატიისთვის მავნე პოლიტიკით, რამდენიმედ მაინც ამწვავებს თვით მართველ წრეების ურთიერთობას. ამიტომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ გვინდა ვაღვიაროთ შემდეგი.

ჩვენი პოლემიკა „აშხატავორთან“ გამოწვეულია მის მიერ ჩვენს პარტიაზე და ჩვენს მთავრობაზე უსაფუძვლო თავდასხმით. „აშხატავორი“ საქართველოს სომხების ორგანოთ აღიარებს თავს და რასაკვირველია, ჩვენ სრული უფლება გვაქვს მასთან იდეური ბრძოლისა.

ჩვენ ვიცით, რომ „აშხატავორთან“ კამათი ხშირად სომხეთის მართველებთან კამათათ აღიბეჭდება ზოგიერთების პსიხიკაში, რაც შედეგია პოლიტიკურ პარტიის და სახელმწიფოს ერთმანეთში არევის.

ჩვენ ვიცით დიდი და განუზომელი გავლენა პარტიული აზრისა სახელმწიფო მოღვაწეებზე, რომელნიც ამ პარტიიდან არიან გამოსულნი. მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ სახელმწიფოს ინტერესები ყოველი გულწრფელი მოღვაწისათვის უნდა მაღლა იდგეს თავის პარტიულ თავმოყვარეობაზე.

სომხეთთან და მის მთავრობასთან ჩვენ იშვიათად გვქონია პოლემიკა. ყოველთვის ჩვენი მიზანი იყო სომხის ერთან, და განსაკუთრებით მის დემოკრატიასთან მოლაპარაკება, შეთანხმება, საერთო ენის და საერთო ხაზის გამონახვა.

მართალია ჩვენ არ მიგვაჩნია სწორათ ის გზა, რომელსაც სომხის დემოკრატია უდგა, როცა დაშნაკელებს აძლევს თავის ნდობას. მაგრამ ამის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიათა საქმეა. სახელმწიფომ კი უნდა მხედველობაში მიიღოს ფაქტი, რომელიც არსებობს, და აქედან გამოვიდეს თავის მსჯელობაში.

ჩვენ უნდა მოველაპარაკოთ იმას, ვისაც ამის უფლება აქვს. სომხეთთან შეთანხმება— ერთი მორიგი საკითხთაგანია, მეტათ მნიშვნელოვანი მათი და ჩვენი დემოკრატიისათვის.

მიუხედავათ იმისა, თუ როგორია მართველი წრეების პოლიტიკური რწმენა, მოლაპარაკების ცდა აუცილებელია ჩვენ შორის რომ სადავო საკითხები, განსაკუთრებით გამიჯვნის საკითხი, ოდნავ მაინც იქნეს წინ წაწეული მოლაპარაკებით, და მას გარეშეთა ჩაურევლათ ერთმანეთთან შეთანხმებით გადაჭრის გზა გაეხსნას, დიდათ მნიშვნელოვანი იქნება ორივე მხარესათვის ევროპის სამსჯავროს წინაშე.

ჩვენ გვწამს, რომ სომხის მართველი წრეები გაუწევენ სათანადო ანგარიშს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და საღი, ხალხის ინტერესების თვალსაზრისით შეთანხმების გზას გამონახავენ, ამ მიზნით ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა მთავრობამ გადადგას ნაბიჯები ამ ორი რესპუბლიკის მოსალაპარაკებლათ. ჩვენ გვინდა, რომ რამდენიმეთ მაინც გაიწმინდოს ის ატმოსფერა, რომელიც არა ნორმალურ ურთი-ერთობას ქმნის ამ ორი ერის დემოკრატებ შორის.

ერთ დროს, თუ არ ვცდები, თითქმის მიღწეული იყო შეთანხმების რუქა საქართველოსომხეთს შორის.

განახლება ამ მუშაობის და დამთავრება ამ მორიგებისა—უდიდესი საზრუნავია ჩვენი და სომხეთის დემოკრატიის, რომელსაც მთავრობებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

## აფხაზეთის საკითხი

დამფუძნებელ კრების ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა აფხაზეთის საქმეების შესახებ. ის ეკითხება მთავრობას თუ რა ზომებს იღებს ეს უკანასკნელი აფხაზეთში წარმოებულ არა სახელმწიფოებრივ მუშაობის წინააღმდეგ. კერძოთ ის ბრალს სდებს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციას და მთავრობის წარმომადგენელ ის. რამიშვილს იმაში, რომ მათ ხმა მისცეს რეზოლიუციას ატესტატების რუსულ ენაზე დაბეჭდვის შესახებ.

ეს შეკითხვა, ასე ვსთქვათ, დასკვნაა იმ დაუსრულებელი წერილების რომელსაც ბ. ნ. თავდგირიძე პბეჭდავს გაზ. „საქართველოში“.

ვინც იცნობს ბ. ნიკო თავდგირიძის ცალმხრივს, ნაციონალისტურ მოღვაწეობას სოხუმში და მის ბოლონდელ მარცხს ქალაქის თავის არჩევის დროს, მისთვის ადვილი გასაგები იქნება როგორც ამ წერილების კილო, ისე მათი შინაარსი.

მაგრამ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დღიდან პარლამენტის არსებობისა ეროვნულ-დემოკრატებს არ შეუტანიათ უფრო მნიშვნელოვანი შეკითხვა, ვინემ აღნიშნული შეკითხვა აფხაზეთის საქმეების შესახებ და ისე ღირსეულად არ სჭერიათ თავი, როგორც ამ შეკითხვის შეტანის დროს. და ჩვენი სურვილია რომ შემკითხველებმა შესძლონ ბოლომდის ჩაატარონ ეს ხაზი და საკითხს შეხედონ არა პარტიულის, არამედ სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით.

რამდენათ განხორციელდება ეს ჩვენი სურვილი, ამას მომავალი დაგვანახვებს, ჩვენ კი საჭიროთ ვთვლით ორიოდე სიტყვით გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს საქმის ვითარება.

რას წარმოადგენს დღევანდელი აფხაზეთი? როგორია ამ ქვეყნის ისტორია?

დღეს აფხაზეთი ეწოდება იმ კუთხეს, რომელსაც აღმოსავლეთით სამეგრელოდან საზღვრავს მდ. ენგური, ჩრდილოეთით კავკასიის მთების კალთები ყუბანის და თერგის ოლქებამდის, სამხრეთით შავი ზღვის ნაპირები და დასავლეთით ეხლანდელი ჩვენი გაგრის ფრონტი. აქედან ცხადია თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ კუთხეს.

დღეს აფხაზეთში შედის ადმინისტრატიულათ პატარა კუთხე სამურზაყანო, რომელიც დასახლებულია ქართველებით და რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეს აქეთ ვიდრე რუსეთის გაბატონებამდე ამიერ-კავკასიაში ცალკე ერთეულს წარმოადგენდა. თითონ აფხაზთა ტომი აფხაზეთში სულ რაღაც 20—25 ათასს უდრის, მაშინ როდესაც მარტო სამურზაყანოს მცხოვრებთა რიცხვი უდრის 50 ათასს. დანარჩენი წვრილი ერებია სომხები, ბერძნები, ესტონელები, რუსები და სხვები.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთს კუთხეში რაიმე ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულის შექმნაზე ოცნებაც კი არ შეიძლება, რადგან არც ერთი ეროვნება არ წარმოადგენს აქ მნიშვნელოვან ძალას და გარდა ამისა ეს კუთხე იმდენათ მცირეა, როგორც ტერიტორიით, ისე მცხოვრებთა რიცხვით და იმდენად ღარიბია კულტურულ ძალებით, რომ საზოგადოთ აქ სახელმწიფოს შექმნაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ აფხაზეთს არა ჰქონდეს ცხოვრების განსაკუთრებული პირობები. მაგრამ ამისთვის ჩვენ გვაქვს თვითმართველობა, ერობა მეტად ფართო კომპეტენციით, ლაპარაკი შეიძლება ასეთი ერობის კომპეტენციის გაფართოვებაზე ავტონომიამდე და არა სახელმწიფოს შექმნაზე.

ცხადია, აფხაზეთის ეროვნული საბჭო სავსებით ვერ ანხორციელებს თავისი მოქმედებით სწორ ხაზს, მაგრამ ეს მოსდის მას არა განზრახვით, არამედ იმ გამოუცდელობით, რომელიც არსებულ პირობებში ბუნებრივი და აუცილებელიცაა.

ჩვენ არ ვივიწყებთ, რასაკვირველია, იმ მიმდინარეობას, რომელსაც რუსი და გადაგვარებული აფხაზი ფეოდალები უდგიან სათავეში და რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის დამხობას ცდილობენ, მაგრამ ეს მიმდინარეობა რამდენიმეთ სულიერ საზრდოს პოულობს, როგორც წინააღმდეგობა ქართველ ნაციონალისტების ურა-ტაქტიკისა და ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლა ნაციონალიზაციის მოუხეშავათ გატარებით სულაც არ იქნებოდა გონივრული ნაბიჯი.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია აფხაზეთის საკითხში ერთი გარემოება, რომელსაც ჩვენის ფიქრით, შემკითხველები არ უწევენ

# დღეს

**ბოლშევიკების ცნობით იტალიაში აჯანყება დაიწყო. ფლორენცია აჯანყებულების ხელშია.**

**გერმანიაში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა ბევრ ალაგას დამთავრდა. ბერლინში გაფიცვა ჯერ ისევ გრძელდება.**

**ვილჰელმის მოსალოდნელი გასამართლების შესახებ „ფორვერტსი“ სწერს, რომ ამით მოკავშირენი ვილჰელმის გავლენას აძლიერებენ ხალხშიო.**

**ზემო სილეზიას ამერიკის ჯარი დაიკავებს.**

**ლატიშებსა და ესტონელებს შორის ბრძოლაა.**

**სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარი შეტევაზე გადავიდა. უკრაინის ფრონტზე ამ ჯარის მდგომარეობა უმჯობესდება. პეტლიურას ჯარი სამი მხრით არის გარშემორტყმული.**

---

სათანადო ანგარიშს. ეს გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ასულდგმულებს ღრმა სიძულვილი დემოკრატიისადმი. ნუ შეეხებით მემამულეების მიწებს და ბატონობას, დაიცავით ფეოდალების პრივილეგიები და აფხაზეთის გაბატონებულ წრეებში თქვენ იპოვით ერთგულ მეგობრებს, რომელნიც ისევე ერთგულათ მოითხოვენ აფხაზების გაქართველებას, როგორც დღეს ამავე აფხაზების გარუსებას თხოულობენ. სწორეთ ეს კლასიური, წოდებრივი ინტერესებია, რომ აფხაზეთის გაბატონებულ წრეებს ხან თურქოფილათ ხდის, ხან კიდევ დენიკინელათ ან ბოლშევიკათ.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმძიმის ცენტრი სულაც არ უნდა გადავიტანოთ ნაციონალიზაციის სფეროში, როგორც ამას ნაციონალისტები მოითხოვენ არამედ თავი და თავია განვახორციელოთ აფხაზეთში დემოკრატიული რეფორმები—პირველ რიგში მიწის რეფორმა და საერობო. ეს უკანასკნელი ფორმალურათ განხორციელებულია, ერობა არჩეულია, მაგრამ მას დახმარება და გამაგრება სჭირია.

ჩვენ არ გვავიწყდება ის, რომ აფხაზეთის ნაციონალისტები ამაში წინააღმდეგობას გაგვიწევენ და თავის კლასიურ—წოდებრივ ეგოიზმს ნაციონალურ სამოსელში გაახვევენ, მაგრამ ჩვენი ვალია ნიღაბი ჩამოვხსნათ მათ და ხალხს დავანახვოთ მათი სულისკვეთება.

ამაშია აფხაზეთის საკითხის მთავარი ძალა და მნიშვნელობა და ამ აზრით აფხაზეთის საკითხი განმეორებაა იმის, რაც ხდება ოსეთში და ახალციხე-ჯავახეთში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა შესძლებს საქართველოს დემოკრატიის ინტერესების დაცვას და აფხაზეთის საკითხსაც მხოლოდ ამ დემოკრატიის თვალსაზრისით შეხედავს.

და აფხაზეთის ნაციონალისტებიც შერცხვენილნი გამოვლენ ამ საქმიდან, როგორც ეს ყველგან მოსდით მათ, სადაც კი ხალხი შეგნებულია და საკუთარ საქმეს თვითონ უვლის და პატრონობს.

უკანასკნელი სიტყვა აფხაზეთის დემოკრატიას ეკუთვნის.

## ისევ პარტიულ მუშაობაზე

ამას წინათ ჩვენ მივაქციეთ ჩვენი პარტიული ამხანაგების ყურადღება იმ არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელიც დამკვიდრდა ზოგიერთ ადგილებში პარტიულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ორგანოებს შორის მართვა-გამგეობის საქმეებში ჩარევის ნიადაგზე. ამის შესახებ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც შესაფერი ცირკულიარი დაუგზავნა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს.

რამდენათ აუცილებელი იყო რევოლიუციის პირველ ხანებში პარტიული ორგანიზაციების მართვა-გამგეობის საქმეში ჩარევა, იმდენათ დღეს ის შეუწყნარებელი გახდა. პირველ ხანებში არ მოიპოვებოდა ისეთი ორგანოები, რომელსაც შეეძლო ხალხის ინტერესების დაცვა და მისი სამსახური. ჩვენი ორგანიზაციების ამ დროის მუშაობამ დაუფასებელი სამსახური გაუწია არა მარტო პარტიას, არამედ—მთელ ერს. მხოლოდ ჩვენი პარტიის მკვიდრი და ძლიერი ორგანიზაციების საშუალებით ეზიარა ქართველი ხალხი ახალ ცხოვრებას, ახალ სამოქალაქო ურთიერთობას.

გავიდა ხანი და შეიცვალა მდგომარეობაც. ამავე ორგანიზაციებმა შექმნეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანოები. გაჩაღდა სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობითი მუშაობა, მოწვეულ იქნა დამფ. კრება, შედგა ნდობით აღჭურვილი მთავრობა და ამ დღიდან იწყება ახალი ურთიერთობა, ახალი გეზი მუშაობისა და საჭირო იყო თანახმად ამისა შეცვლილიყო პარტიული მოღვაწეობის ტაქტიკაც. ასეც მოხდა ბევრ ადგილას. მაგრამ ზოგან ჩვენი ორგანიზაციები შერჩენ ძველ ტრადიციებს, ძველ ფსიხოლოგიას და მათი ერთხელ არჩეულ გზიდან გადაყვანა არც ისე ადვილი შეიქნა. ეს გარემოება კი მეტად ხელის შემშლელი შეიქნა. შესუსტა და წინ გადაეღობა ადგილობრივ მართველობა-თვითმართველობათა მოქმედებას, მოადუნა პარტიული მუშაობა, რასაც შედეგათ მოჰყვა ხალხის ფართე მასაზე მოწყვეტა და ასე თავის გავლენის განელება.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქცია პარტიულმა ცენტრალურმა კომიტეტმა და როგორც ვთქვით, შესაფერი ცირკულიარიც დაუგზავნა ყველა ორგანიზაციებს.

სამწუხაროთ, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ გურიის კომიტეტის სხდომის ანგარიშიდან ვტყობილობთ, რომ მას განუხილავს ეს ცირკულიარი და დაუდგენია:

„განაგრძოს ისევ ძველი ნაცადი გზით სიარული“.

ჩვენ ველოდით, რომ გურიის კომიტეტი, როგორც უფრო ძველი, უფრო რევოლიუციონური და ხანგრძლივი მუშაობით გამოცდილი პირებისაგან შემდგარი თვით გაიკაფავდა გზას შესაფერათ შექმნილი პირობებისა და ასე სხვებს მისცემდა მაგალითს, მაგრამ როგორც სჩანს ტრადიცია და შეთვისებული ფსიხოლოგია იმდენათ ძლიერი აღმოჩენილა, რომ ის მზათაა უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს დადგენილებაც დაარღვიოს, ოღონდ კი თავის ერთხელ სწორ, მაგრამ ახლა გამოუსადეგს და მავნე ტაქტიკას შერჩეს.

გურიის კომიტეტის ასეთი დადგენილება ჩვენ მიგვაჩნია სრულიად მიზანშეუწონელათ, დარღვევათ პარტიულ დადგენილებისა და ჩვენ ვაქცევთ ამ გარემოებას ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის ყურადღებას. პარტიის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები ამ ერთი უმთავრესი ორგანიზაციის სწორ გზაზე დასაყენებლათ.

ჩვენი მოწინავე ამხანაგების ვალია ხელი შეუწყონ პარტიულ მუშაობის გამოცოცხლებას და შეცვლილი პირობების მიხედვით თავის მუშაობის სხვა გზით მიმართვას. ამას გვიკარნახებს დღევანდელი საპასუხისმგებლო მომენტი და ჩვენ გვჯერა—ჩვენი ორგანიზაციები ახლაც ისე პირნათლათ შეასრულებენ თავის ისტორიულ მოვალეობას, როგორც ასრულებდნენ დღემდის. **განი.**

## დავ. ღამბაშიძის მოხსენება

ლონდონიდან ჩამოსულმა საქართველოს დელეგაციის წევრმა დავით ღამბაშიძემ 9 ივლისს დამფუძნებელი კრების ს. დემ. ფრაქციაში გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოს საკითხი ევროპაში და კერძოთ საზავო კონფერენციაზე“.

მოხსენების დასაწყისში მან აღნიშნა, რომ არც ერთი ევროპის სახელმწიფო ჩვენ საფრთხეს არ გვიმზადებს. ჩვენთვის საშიშონი არიან მხოლოდ კოლჩაკ-დენიკინი.

ყველაზე ყურადღებით და სიმპატიით საქართველოს ინგლისი ეპყრობა, იგი თავიდანვე შეგვპირდა, რომ დავიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობასო და ამგვარივე დეპეშა გამოიგზავნა კიდეც ინგლისის მთავრობის სახელით საქართველოში.

ამიერ-კავკასიაში შემოსვლამდე ინგლისი ძლიერ იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნით, როდესაც მოკავშირეთა დადგენილებით ინგლისის ჯარები ჩვენ ქვეყნისაკენ გამოემგზავრენ, მათ ათასგვარი პროვოკაციული ცნობები მიაწოდეს,—ჩააგონეს, რომ საქართველო გერმანიის ორიენტაციისაა, ქართველობა უბრძოლველად არ შეუშვებს ინვლისის ჯარს თავის ტერიტორიაზეო და სხვა. ასეთი წინასწარი აზრით შემოსულმა ინგლისელებმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღეს, რომ ქართველი ხალხი მეტად გულუბრყვილო ყოფილა, პოლიტიკის მას არა გაეგება-რაო. და ვისაც შეიყვარებენ ან მიემხრობიან თანაც გადაყვებიანო. მათ ასეც მოუვიდათ: გერმანია შეიყვარეს და სურთ მისი დამარცხებაც გაიზიარონო.

შემდეგ მომხსენებელი, ეხება რა საზავო კონფერენციის მუშაობას, აღნიშნავს, რომ ყველა დელეგაციასთან არსებობს სხვადასხვა კომისიები და სექციები. საქართველოს საკითხი გამოყოფილია რუსეთის საკითხიდან. მაგ., ინგლისის დელეგაციას იგი დასმული აქვს, როგორც საკითხი ახლო აღმოსავლეთის, იტალიას—როგორც რუსეთის, მაგრამ ამ ბოლო დროს მანაც შესცვალა აზრი და ინგლისს მიჰბაძა, იაპონიას საქართველოს საკითხი დასახელებული აქვს, როგორც დასავლეთ აზიისა, საფრანგეთს, საქართველოს საკითხი რუსეთის კითხვისაგან არ აქვს გამოყოფილი. რაც შეეხება სხვა პატარა ერებს, მათთან ჩვენი საკითხი არ არის დაკავშირებული და არც კომისიები აქვთ, გარდა პოლონეთისა, რომელთაც ეკონომიური მოსაზრებით დაარსეს პატარა სექცია საქართველოს შესახებ.

ჩვენი საკითხები ისმება კომისიებში, მას სწავლობენ. მაგალითად ინგლისის დელეგაციამ საქართველოს შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცის. დაწვრილებით იცნობს ამიერ-კავკასიის მდგომარეობას ამერიკის დელეგაციაც, მაგალითად მათ აქვთ კომისიებში ამიერ-კავკასიის რუქა, სადაც ყოველივე სადავო ტერიტორიალური საკითხი სხვადასხვა ფერით არის აღნუსხული.

მომხსენებელი, ეხება რა რუსეთის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ იქ ეხლა ორი უკიდურესობა არის—ბოლშევიზმი და დენიკინი. მოკავშირეები ორივე მხარეს კარგად იცნობენ. იციან ისიც, რომ თუ რუსეთში გაიმარჯვა რეაქციამ, იგი კავშირს დაიჭერს გერმანიის რეაქციონურ წრეებთან და ეს კი საფრთხე იქნება ევროპისათვის. თუ ვინიცობაა გერმანიაში სპარტაკელებმა გაიმარჯვეს, იგინი შეუერთდებიან ბოლშევიკებს და ესეც სურთ აიცდინონ მოკავშირეებმა.

ინგლისი ფიქრობდა ბოლშევიკებთან მოლაპარაკების გამართვას, მაგრამ ასეთი ცდა უნაყოფო გამოდგა და ამიტომ გადაწყვიტეს მოკავშირეებმა ბოლშევიზმის დამარცხება რუსეთში და სწორედ ამ მიზნით ეხმარებიან დენიკინს და კოლჩაკს. ამერიკა უკანასკნელ დრომდე ფიქრობდა ბოლშევიკებთან კავშირის დაჭერას. ახლა კი იმანაც აზრი შეიცვალა და კოლჩაკს ეხმარება.

მომხსენებელს ყალბათ მიაჩნია ის მოსაზრება, თითქოს მოკავშირენი ფიქრობდენ ამიერ-კავკასია შეუერთონ დენიკინს. ლოიდ ჯორჯი იმ აზრს ადგა, რომ რუსეთიდან გაყოფილი ერნი თუ თვით არ მოისურვებენ თავიანთ ნებით შეუერთდენ რუსეთს, ძალით რუსეთს არ უნდა შეუერთონ.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ინგლისის შინაურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ იქ დიდი ჩუმი სოციალური რეფორმები გატარდა: დაკანონდა 8 საათის სამუშაო დრო, მუშათა კლასის მდგომარეობა გაუმჯობესდა, იგი უზრუნველყოფილია ნივთიერად და ბოლშევიზმს იქ არავითარი ნიადაგი არ აქვს და არც არის მოსალოდნელი, რომ ევროპა საგრძნობლათ შეირყესო. რუსეთის და გერმანიის ამბები იქ მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება საფრანგეთს, იქ დიდი შოვინისტური მოძრაობაა, გერმანელებისადმი მტრული განწყობილება არის. პირველი მაისის დემონსტრაციის დროს ჯარს პატრონები არ ჰქონია, თორემ მრავალს დახოცავდენ, რადგანაც ჯარი დემონსტრაციის მომწყობთ გერმანელების აგენტებათ სთვლიდენ. ბევრ მუშას კონდახებითა სცემეს.

მომხსენებელმა შეკითხვებზე პასუხი გასცა. მან თავის საპასუხო სიტყვაში, სხვათა შორის მოკლეთ აღნიშნა, თუ რას აკეთებს ჩვენი დელეგაცია, მოიხსენია, რომ გამოდის ფრანგულ ენაზე ბიულეტენები, რომლებსაც უგზავნით ყველა გაზეთებს, მაგრამ თუ ყველა არ ბეჭდავს ჩვენს შესახებ ამ ცნობებს, ეს იმით აიხსნება, რომ საფრანგეთში აუარებელი უცხო კორესპონდენტები არიან და ტეხნიკურათაც შეუძლებელი არის ყოველი ქვეყნის ამბის სისტემატიურათ ბეჭვდა. დელეგაციას უხდება კომისიებში მუშაობა, ჟურნალისტებთან საუბარი და სხვა. მომხსენებლის აზრით, ჩვენი დელეგაცია რომ დაესწრო სოციალისტურ კონფერენციას, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. საზოგადოთ, ევროპაში მასსა არ იცნობს არამც თუ საქართველოს, არამედ—მათ ხშირათ ასეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ვენის იქით აზია არის და შავ-კანიანი ხალხი სცხოვრობსო. ბერნის კონფერენციის დადგენილება ჯერ ერთი რომ გავლენას იქონიებს ევროპის პოლიტიკურ სფეროებში, აგრეთვე ამით მუშათა კლასი გაეცნო საქართველოს. და ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

მომხსენებლის დასკვნა ისეთია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებული იქნება საზავო კონფერენციაზე, ეს დაახლოვებით ორ სამ თვეში გადაწყდება. მხოლოდ რა ფორმას მიიღებს ეს დამოუკიდებლობა,—იქნება კანტროლს ქვეშ თუ არა, ამის გათვალისწინება ახლა ძნელია.

## უკანასკნელი ცნობები

### ბათუმი.

**მოხალისეთა დროშა და ნათიევის რაზმი.**

ქობულეთში მოხსნეს მოხალისეთა ჯარის დროშა და აღმართეს ინგლისური. 6 ივლისს ნოვოროსიაში გაიგზავნა გენ. ნათიევის მიერ შედგენილი რაზმი 250 კაცისაგან შემდგარი. უმეტესობა მათში სომხები არიან. ნათიევის შტაბის წინ გამოკრულია ცნობა, რომ რაზმი მოხსნილია და მასში ჩაწერაც შეჩერებულიაო. ამ შტაბის უფროსი დიბენკო ეკატერინოდარში გაემგზავრა.

### ბაქო.

**მუშათა კონფერენცია.**

6 ივლისს შესდგა ბაქოს მუშათა კონფერენციის სხდომა. ცენტრ[illegible] პრეზიდიუმის მოქმედების ანგარიშის მოსმენის შესახებ. ესერები უსაყვედურებდენ პრეზიდიუმს, რომ ვერ იჩენთ საჭირო უნარს, კლასის ინტერესებს სრულიადაც არ იცავთ და კონფერენციაზე ბავშვები გაბატონეთო. მოითხოვდენ ახალ არჩევნებს. ხმის უმეტესობით დადგენილ იქნა კონფერენციის ხელ-ახალი არჩევნები არ მოხდეს, მხოლოდ აირჩიონ პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში აირჩიეს კომუნისტები და ორი გუმეტელი. ბაქოს ესერების გაზეთი ლოზუნგათ აყენებს: ბრძოლას მუშათა კონფერენციის ახალი არჩევნებისთვის.

**სამხედრო სასამართლოში.**

ბაქოს სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ცხენოსანთა ესკადრონის 3 ასკერს, რომელთაც ბრალდებოდათ უბნის ზედამხედველ ივანოვის მოკვლა და ორი „გოროდოვოის“ დაჭრა. ორი დამნაშავეთაგანი უკვე ჩამოახრჩვეს, ერთს სიკვდილით დასჯა 15 წლის კატორღით შეუცვალეს.

**მუსულმანთა და სომეხთა დამოკიდებულება.**

ადერბეიჯანის მთავრობას წარუდგა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი და აღძრა შუამდგომლობა, რომ უსახლკარო ლტოლვილთ ნუხის, არეშის და გოგჩის მაზრებისას, ნება დართონ გადასახლდენ სომხეთში. ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობა შეთანხმდა, რომ შედგენილ იქნას ერთი საერთო კომისია, რომელშიაც შევლენ აგრეთვე წარმომადგენელნი მოკავშირეებისაგან. კომისია დაწვრილებით გამოარკვევს ადერბეიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე სომხების და სომხეთში მცხოვრებ მუსულმანების მდგომარეობას.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 ივლისი.

**ბოლშევიკების ცნობები**

**მოსკოვი**. 8 ივლისი. იტალიაში არეულობა და გაფიცვები ძლიერდება. იტალიის ზოგიერთ ადგილებში საბჭოები დაარსდა. ფლორენცია პროლეტარების ხელშია. ჯარმა, რომელიც აჯანყებულების დასამშვიდებლათ გაიგზავნა, მცხოვრებლების წინააღმდეგ მოქმედებაზე უარი განაცხადა. იტალიის მუშების კონფერენციამ, რომელსაც 400,000 მუშების წარმომადგენელი დაესწრო, მიიღო რეზოლიუცია უნგრეთის საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის მუშებთან სოლიდარობის შესახებ. ბერლინში გაფიცვები გრძელდება. მიმოსვლა ცენტრსა და განაპირა უბნებს შორის შეწყვეტილია. ტამერფორსში გაფიცვები გრძელდება.

პეკინში ბრბო ქუჩებში გამოვიდა, ტიანძინში და შანხაიში ყველა სავაჭროები დაიკეტა. ჩინეთში ტელეგრაფის მოსამსახურეები გაიფიცნენ, გაზეთი „რესპუბლიკა“-ს მოყავს ცნობები ევროპაში, აზიაში და ოკეანეს იქით გაფიცვების გაძლიერების შესახებ. პადეკალეს დეპარტამენტში და ჩრდილოეთით მაღაროს მუშების გაფიცვა განახლდა. პარიზში რკინის გზებზე გაფიცვა გრძელდება. გაფიცულებს მიემხრნენ ავტობუსების და ტრამვაის მუშები. პოლიცია პასიურათ მოქმედობს. შრომის გენერალური კონფერენცია მაღაროს მუშების, გემების, რკინის გზების, ნავთსადგურების, და ტრანსპორტის მუშების და სხვათა გაერთიანებული პროფესიონალური კავშირი აცხადებს, რომ გაფიცულები ისე, როგორც მთელი პროლეტარიატი, თავის მოთხოვნილებას არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს და მთავრობის მოთხოვნილებას არ უნდა დაუმორჩილდეს. კავშირი მზად არის ყოველი ღონით მხარი დაუჭიროს ცალ-ცალკე პროფესიონალურ კავშირების გაერთიანებას გადამწყვეტ ბრძოლაში. საფრანგეთში ცხოვრების გაძვირების, გადასახადების გადიდების, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევის, რუსეთის და უნგრეთის რევოლიუციის დახრჩობის ცდის, დემობილიზაციის დაგვიანების და საერთო ამნისტიის გამოცხადებაზე უარის გამო შეიქნა ისეთი მდგომარეობა, საიდანაც გამოსავალი შეიძლება გამოინახოს მხოლოდ გადამწყვეტი მოქმედებით. საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ბელგიის პროფესიონალურ ორგანიზაციების შრომის გენერალურ კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მომენტის სიძლიერის გამო თავისი სხდომები შეუწყვეტლათ გამოაცხადა. ნეაპოლში გაფიცვები იზრდება. გაფიცვები შრომის სხვა დარგებსაც მოედო. რომში გაიფიცნენ აგრეთვე ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეები. **ნაუენი.**

ივლ. 7. მთავრობის ჯარის დახმარებით რკ. გზის მოძრაობა ზოგიერთ ადგილას განახლდა. ბერლინში გაფიცვები ისევ ძველებურად მიდის. **ლიონი**. ივლ. 7. საფრანგეთის მთავრობას ძალიან ეშინიან, რომ ფიუმეში საფრანგეთის და იტალიის ჯარებს შორის შეჯახება არ გაძლიერდეს. ეკატერინოსლავის მიმართულებით ბრძოლაა. ჩვენ ბრძოლით დავიბრუნეთ ხოტმიჟსკი. ბელოგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ვალუისკის მიმართულებით ჩვენ ბრძოლით ნოვი-ოსკოლი დავიჭირეთ. ოსტროგოჟსკის დასავლეთით ბრძოლაა. ბალაშოვის დაჭერის შემდეგ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. სად. ლადი დავიჭირეთ. კამიშინის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, მოწინააღმდეგე უკუ აგდო და სოფლები დაიჭირა. **კიევი**. ივლისის 8. **სამხედრო ცნობა**. ვოლოჩინსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კუპელი, რადიევკა, მანაჩინი, ენუშევცი და გარნიშევკა დაიჭირა. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები, თოფები და სამხედრო მასალა. პროსკუროვის რაიონში ელშტიმი დავიჭირეთ, მოწინააღმდეგე პანიკაში გარბის. მოწინააღმდეგე ნოვოკონსტანტინოვზე შეტევას განაგრძობს. ჩვენი ჯარი მკაცრ წინააღმდეგობას უწევს. ხარკოვის მიმართულებით ისვროვკასთან ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, თოფები და ტყვიები. ბოგოდუხოვის მიმართულებით სად. გუტთან ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი გაანადგურა და გენ. კორნილოვის სახელობის მატარებელი დააზარალა. ზოლოჩევის მიმართულებით ხოტოჟთან ჩვენი ჯარი დაზარალდა, მაგრამ ჩვენ შემდეგ შეტევაზე გადავედით. **კიევი**, ივლისის 8. უკრაინის ფრონტზე მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. პეტლიურა სამივე მხრით შემოარტყმულია. პეტლიურას უკან დახევა გადაუჭრიათ. დნეპრის სამხრეთ ნაწილში სიწყნარეა. ხარკოვისკენ პოლტავის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. **ლონდონი**. ივლისის 15. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ჯარი კავკასიას სცლის. **ნაუენი**, ივლისის 8. ზემო სილეზიას ამერიკის ჯარი დაიჭერს. **ნაუენი**, ივლისის 8. მაინის ფრანქფურტის რკ. გზელებმა მუშაობის განახლება გადასწყვიტეს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ვენის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები, ვითომ უნგრეთის კომუნისტებს ვენის აღების გეგმა შეედგინოთ მაშინ, როდესაც უნგრელებს მხოლოდ 14,500 თოფი, 100 ტყვიისმფრქვეველი და 100 ზარბაზანი ჰქონდათ. ვენიდან გაქცეულმა უნგრეთის რამდენიმე საზოგადო მოღვაწემ მოკავშირეებს სთხოვა, ვენა გაანთავისუფლონ ბალშევიკების ბატონობისაგან, დაეხმარნენ იმ უნგრელებს, რომელთაც ბელაკუნთან საერთო არაფერი აქვთ და წესიერების აღსადგენად ზომიერი სოციალისტური მთავრობა შექმნან უნგრეთში.

გაზეთები უკომენტარიოდ ათავსებენ ცნობებს იტალიაში მოძრაობის ზრდის და იმის შესახებ, რომ ფლორენცია მუშების ხელშია.

გერმანიის დელეგაცია კლემანსოსთვის გაგზავნილ ახალ ნოტაში ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ლატიშების და ესტონელების შორის დაწყებულ ბრძოლის გამო ლიფლიანდიასა და რიგაში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში თეოდორ ვოლფი სწერს, რომ კაიზერის საქმის დაწყებით მოკავშირენი სამართლიანობას არღვევენ და დაბრკოლებებს ქმნიან. ამავე საგნის შესახებ „ფორვერტსი“ აცხადებს, რომ მოკავშირენი კაიზერის გავლენას აძლიერებენ ამით. კაიზერის საკითხში ინგლისის მიერ გამოჩენილ სიმტკიცის გამო მართლდება ხოლო გერმანელების აზრი, რომ ინგლისი ყველაზე შეურიგებელი და საშიშო მტერია გერმანიისთვის. გერმანიის პასუხისმგებლობის ყველა საბუთები რომ განიხილონ, გერმანიის მტრებიც კი დარწმუნდებიან, რომ მარტო გერმანია არ არის პასუხისმგებელი.

სილეზიის ქალაქ კატოვიცაში კვირას დილისით დიდი არეულობა მოხდა. გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგები გენ. ჰალერის ჯარის მიერ ზემო სილეზიის დაპყრობის გამო, რომელზედაც მოითხოვეს, რომ ზემო სილეზია ამერიკის ჯარმა დაიპყროს კატოვიცის მიდამოებიდან 4000 პოლონელი მოვიდა დემონსტრაციის ჩასაშლელად. ისინი ქალებს და ბავშვებს დროშებს ართმევდენ და ტრიბუნიდან ორატორებს სდევნიდენ. არეულობა 1 საათს გაგრძელდა, ვიდრე ჯარი არ მოვიდა. ბევრია მოკლული და დაჭრილი.

რკინის გზელების გაფიცვა გერმანიაში, როგორც სჩანს, მალე გათავდება.

ლიონიდან იუწყებიან, რომ ბერლინში პირველად სცადეს ნოსკეს ჯარის განდევნა. სამხედრო დიქტატურის შესაძლებლობის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუშათა საბჭოს აღმ. კომიტეტმა გადასწყვიტა ამ ჯარს ბოიკოტი გამოუცხადოს. ამიტომ ნოსკეს მომხრენი იძულებული გახდნენ მოხალისეთა ჯარში დარჩომილიყვნენ. მუშებმა მათ წინათ განუცხადეს, რომ მათთან მუშაობა არ სურთ; ეხლა კი შეურიგდნენ და მათ უთხრეს: „დაბრუნდით და ჩვენთან იმუშავეთ“. ამის შესახებ ამბობენ, რომ მუშებს ამით სურთ ნოსკეს ძალა ჩამოაშორონ იმ შემთხვევისთვის, თუ მუშები გაიფიცნენ ან აჯანყდნენ. მუშების მდგომარეობა გაუმჯობესდა. მთავრობის აზრით წესიერი მოძრაობა ვერ იქნება აღდგენილი, თუ მის დროს გაფუჭებული რკინის გზის ლიანდაგი არ შეაკეთეს. მართველობა კვლავინდებურად ნოსკეს მტკიცე ხელშია. მრავალ მუშას სძულს არსებული რეჟიმი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ფრონტის დღე**. როგორც გამოირკვა დემოკრატია დიდ ინტერესს იჩენს ფრონტის დღის შესაფერისათ მოწყობის საქმეში. ეს დაამტკიცა გუშინ მოწვეულ სხდომაზე მოსმენილ რაიონების წარმომადგენლების მოხსენებებმა. პროგრამა მრავალფეროვანია. პროვინციებსაც ეგზავნება მოწოდებები, რომ გამოეხმაურონ ცენტრს და ყოველგან მოეწყოს ეს დღეები. განზრახულია, რომ წინადადებით მიმართონ ყველას ერთი დღის შემოსავალი ან ხელფასი გადასდონ ამ დღისთვის. სასურველათაა აღიარებული და შესაფერი ნაბიჯებიცაა გადადგმული, რომ შეძლებულ კლასებმა განსაკუთრებული მსხვერპლი გაიღოს ამ დღეებისთვის. შემოწირულება და სხვადასხვა ცნობების მიღება შეიძლება: რუსთაველის ქ. სახლი № 24 მთავარი კომიტეტში.

✦ **ნავთსადგურებისთვის** მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას გზათა უწყების ნავთსადგურების საჭიროებისათვის 1919—20 წ. ბიუჯეტით ნავარაუდევი თანხის ერთი მეთორმეტე ნაწილი.

✦ **ინგლისის ჯარის ევაკუაცია**. ამ დღეებში ლონდონიდან თფილისში ჩამოვიდა ინგლისელთა საევაკუაციო კომისიის ორი გენერალი, რომელთაც დავალებული აქვთ დააჩქარონ ამიერ-კავკასიიდან ინგლისელ ჯარების გაყვანა.

✦ **დეკრეტი ზედმეტ-მოგებაზე** გადასახადის გაწერის შესახებ, რომელიც ძალაში უნდა ყოფილიყო 1919 წ. 13 მაისამდე, მთავრობამ დაადგინა: დარჩეს ძალაში 1920 წ. 1 იანვრამდე.

✦ **ექსკურსია**. 12 ივლისს მოსკოვის სტუდენტთა ექსკურსია მიდის ზედაზენის მონასტერში. ჩაწერა შეიძლება პარასკევამდე 10—2 ს. (გოლოვ. პრ. 10).

**კ რ ე ბ ე ბ ი**

კვირას 13 ივლისს დილის 10 ს. კოლექტივის ბინაზე (კახეთის ქუჩა № 1) შესდგება მესამე რაიონის ახალგაზდა მარქსისტთა საზოგადო კრება.

— საქართველოს ექიმთა პროფესიონ. კავშირის გამგეობა იწვევს თფილისელ ექიმებს საზოგადო კრებაზე 13 ივლისს კვირას საღამოს 7 ს. მიხეილის სამკურნალოს რენტგენის კაბინეტში.

— კვირას, 13 ივლისს, საბურთალოს მუშათა კლუბში ნაშუადღევის 3 ს. დანიშნულია საზოგადო კრება, რომელზედაც განხილული იქნება ანგარიშები და არჩეულ იქნება ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები.

— დღეს საღამოს 4 ს. დანიშნულია საერთო კრება ბილანაშვილის გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებისა იმავე გიმნაზიის შენობაში.

# ᲡᲐᲢᲐᲠᲘᲤᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(მცირე შენიშვნა)

ჩვენს ცხოვრებაში დიად მნიშვნელობის დაწესებულება იშვა, სატარიფო პალატა, რომლის მიზანია მუშათა მდგომარეობის რეალური გაუმჯობესება შრომასა და კაპიტალს შორის დამოკიდებულებაში წესრიგის შეტანით, სადაც დღეს თვალსაჩინო ქაოსია გამეფებული.

სამწუხაროთ, ამ ახალი დაწესებულების პირველი ნაბიჯი სწორად არ იქნა გაგებული და მით მისი ნაყოფის შესახებ ეჭვები დაბადა (იხ. ამხ. ს. ცრემლისხიდელის წერილი „ერთობის 149 ნომერში). ნამდვილათ კი, რა ბორძიკითაც არ უნდა იაროს სატარიფო პალატამ თავის ეკლიან გზაზე, მისი არსებობა და მუშაობა კარგ ნაყოფს უქადის საერთოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეს და კერძოთ მუშათა კლასს.

ჩვენი უბედურება მარტო იმაში კი არაა, რომ მუშათა კლასი ომის და რევოლიუციის ხანაში, ამ მსოფლიოს განადგურების ხანაში, აუტანელ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის (ეს ასეა ყველა სახელმწიფოში), არამედ საქმე მით უარესდება, რომ არსად და არაფერში წესრიგი არ არის. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ პირველ მოთხოვნილების საგნების მოქალაქეთა შორის თანასწორათ განაწილებას (ეს ვერ შესძლო გერმანიამაც კი, სადაც, მართალია, სანოვაგეს მდიდარ-ღარიბთ თანასწორათ ურიგებლნენ, მაგრამ მდიდრებმა ღარიბებს ფული დაახარბეს და თავის წილი სანოვაგედან ერთ წილს ჩუმად დაატყუებდნენ ხოლმე), მაგრამ ის რათ ეღირება, რომ ყველა მუშათა პროფესიები ერთგვარ პირობებში ჩადგეს.

დღეს ყველამ იცის, რომ არამც თუ სხვადასხვა ქალაქში, არამედ—ერთ და იმავე ქალაქში ერთი მუშა იღებს ერთს, ხოლო მეორე მუშა იმავე ხელობისა ამის სამ მეოთხედს და ზოგჯერ ნახევარსაც კი. არის ისეთი შემთხვევაც, როცა ერთ წარმოებაში, საცა ხელფასი ყველაზე დიდია, კიდევ მომატებას ითხოვენ და აღწევენ, ხოლო მეორე წარმოებაში, სადაც ხელფასი უფრო ნაკლებია, მოთხოვნილება ვერ წაუყენებიათ და ვერ გაუყვანიათ. ამავე დროს პირველი წარმოების მუშათა ხელფასის მომატება აძვირებს ცხოვრებას და ასე აუარესებს მეორეთა, უმისოთაც გაჭირვებულ ყოფას. არის ისეთი შემთხვევებიც (მასიურათ სახმარ საგანთა წარმოებაში), როცა მწარმოებლებს არაფერი საწინააღმდეგო არ აქვსთ ხელფასი გაუდიდონ თავის მუშებს, ვინაიდან ამ მიზეზით ერთი-ორათ და მეტათ აძვირებენ თავის ნაწარმოებს და ამით უცბათ იწვევენ საერთოთ ცხოვრების გაძვირებას. ამიტომ, საჭიროა მუშათა ხელფასი თანასწორ ხელობისა და შრომის პირობებში დაახლოვებით თანასწორი იყვეს. ამავე დროს საჭიროა კანტროლი წარმოებაზე, გამოანგარიშება მისი ნამდვილი ხარჯებისა და ამის მიხედვით ფასების დაწესება. საჭიროა აგრეთვე დაუახლოვდეს ერთმანეთს შრომის ნაყოფიერება სხვადასხვა წარმოებისა. ეს შეუძლია სატარიფო პალატას.

მაგრამ სატარიფო პალატა ამას შესძლებს მაშინ, თუ მას მხარში ამოუდგება ყველა მუშები, განსაკუთრებით პროფესიონალური კავშირები.

თუ სატარიფო პალატა ძლიერი დარჩა პროფესიონალური კავშირებით ზურგ გამაგრებული, შრომასა და კაპიტალს შორის წესრიგის შეტანასთან ერთად ის ჩაერევა სათანადო სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოქმედებაში და წეს-რიგს შეიტანს სანოვაგის მიწოდებაშიაც, რომ ყველგან თანასწორ რიცხვითა და ფასებით მისდიოდეს მუშათა კლასს პირველი საჭიროების საგნები.

აქვე უნდა დავსძინო, რომ სატარიფო პალატა იქიდან კი არ დაიწყებს, რომ ვისაც მეტი აქვს მოუკლოს, არა, დაიწყებს პირიქით: ვისაც ცოტა აქვს, მოუმატებს, რომ ისინი თავის მოძმეთ დააწიოს და შემდეგ შეუდგეს ყველას მდგომარეობის ერთად გაუმჯობესებას.

ამნაირათ, სატარიფო პალატა, ეს ნანატრი რეგულიატორია ჩვენს ეკონომიურ ქაოსში და რამდენათ მეტი სიმტკიცით და იმედით შემოერტყმის მას გარეშემო მუშათა პროფესიონალური კავშირები და საზოგადოთ მშრომელი მასსა, იმდენათ მეტ სარგებლობას მოგვიტანს ის.

მაშ, მხნეთ ახალ მუშაობაში. ერთობა უძლეველია. შეერთებული ძალით ვძლევთ მატერიალურ გაჭირვებასაც!

ზ. დათიაშვილი.

# Ს.-Დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ოქმი საქართ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საკანტროლო კომისიის სხდომისა. 9 ივლისი 1919 წ. კრებას დაესწრნენ: კ. ანდრონიკაშვილი, სალაყაია, ზ. გურული, გ. ბახტაძე (საკანტროლო კომისიის წევრმა კ. ნინიძემ განცხადება შემოიტანა, რომ ის არ მიიღებს მონაწილეობას სურამის საქმის გარჩევის დროს).

თავმჯდომარეობს კ. ანდრონიკაშვილი, მდივანი გ. ბახტაძე. საკანტროლო კომისიის სხდომას დაესწრნენ სურამის კომიტეტის თავმჯდომარე ს. მამალაძე, ზ. ხიდირბეგიშვილი და ვარსიმოვი. 5 ივლისს 1919 წ. საქ. ს.-დ. საკანტროლო კომისიამ გაარჩია საჩივარი ზ. ხიდირბეგიშვილის, ვარსიმოვის და ვერა ძაგნიძისა, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი გამორიცხულ იქნენ სურამის ორგანიზაციიდან დაუკითხავად და ბრალდების წაუყენებლად. საკანტროლო კომისიამ განიხილა რა საქმე მხოლოდ ფორმალურის მხრით დარწმუნდა, რომ არც 8 ივნისის სხდომაზე, როცა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება აღნიშნულ პირების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ და არც 22 ივნისს, როცა სურამის ორგანიზაციამ დადგენილება დაადასტურა, არ ყოფილა შესრულებული ელემენტარული უფლება ბრალდებულებისა, რომლებთათვის არც კი წაუყენებიათ ბრალდება და თავის მართლების საშუალება არ მიუციათ. გარდა ამისა, სურამის კომიტეტს შეუწყნარებელი შეცდომა დაუშვია, მით, რომ დადგენილება გამორიცხვის შესახებ გამოუკრავს ქუჩებში.

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში საკანტროლო კომისიამ თავის სხდომაზე 9 ივლისს, დაადგინა: 8 და 22 ივნისის დადგენილება ხიდირბეგიშვილის, ვარსიმოვის და ძაგნიძის შესახებ გაუქმებული იქნას და ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტს, რომ მან მოახდინოს პარტიული გამოძიება სურამის ორგანიზაციაში არსებულ უთანხმოების გამოსარკვევათ და მსჯავრის დასადებათ.

ეს დადგენილება გამოცხადდეს პარტიულ პრესაში, და ეცნობოს სურამის ორგანიზაციას და ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციას.

მდივანი **გ. ბახტაძე.**

---

**თფილისი.** 7 ივლისს შესდგა დეპოს ქვერაიონული ს. სოც.-დემ. მუშათა პარ. წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 70 წევრამდე. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) პირველი რაიონის კონფერენციის მუშაობა, რომელიც იყო მოწვეული ივნისში. 2) ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობა და თფ. მუშ. დეპ. საბჭო.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. მანჯგალაძემ. მან აღნიშნა, თუ რა იყო მიზეზი კონფერენციის მოწვევის და რა ნაყოფი მოიტანა მან, ე. ი. კონფერენციამ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იქნა წაკითხული კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუცია, რომელიც კრებამ მოიწონა. ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევის შესახებ ილაპარაკა ამხ. მეტრეველმა. მან აუხსნა კრებას, თუ რამ დაბადა ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევის იდეა და რა მიზეზის გამო არ შესდგა ის. მცირეოდენ სჯა-ბაასის შემდეგ კრებამ მიზანშეწონილათ აღიარა ყველა ის ნაბიჯები, რომელიც იყო გადადგმული თფ. მუშ. დეპ. საბჭოს მიერ და ერთხმად მიიღეს ის რეზოლიუცია, რომელიც იყო გამოტანილი საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე.

მდივანი **პ. თხილავა.**

---

**გურია.** გურიის სოც. დემ. კომიტეტის სხდომა. ივნისის 28-ს შესდგა გურიის ს. დ. კომიტეტის სხდომა. გამოცხადდა წევრების დიდი უმრავლესობა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) პრეზიდიუმის მოხსენება, 2) სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება, 3) მოხსენება ადგილებიდან, 4) გურიის სახალხო გვარდიის შტაბის მოხსენება, 5) ფრონტის წარმომადგენლის მოხსენება, 6) გურიის მეომართა ოჯახების დამხმარე კომიტეტის მოხსენება, 7) წვრილი ერთეულების არჩევნები, 8) ცენტრალური კომიტეტის წერილი, 9) პასუხსაგებ პოსტზე მდგომი პირის საკანტროლო ორგანიზაციაში დაუშვებლობის შესახებ, 10) თავდაცვის შესახებ, 11) „იავკების“ შესახებ, 12) ერთ და იმავე პირს ორ ჯამაგირიან ადგილზე დაუშვებლობის შესახებ.

პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მირიან რამიშვილი, რომლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პრეზიდიუმს გაუძლიერებია კანტროლი პარტიულ ორგანიზაციებზე, ამასთან ინფორმაცია რაიონებიდან უფრო მართალი შემოდის. საზოგადოთ, პრეზიდიუმის მუშაობა სწარმოებდა შესაძლებლობის ფარგლებში დამაკმაყოფილებლად.

ერობის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვლად. ცეცხლაძე, რომელმაც გააცნო კომიტეტს, თუ საით იყო მიმართული გამგეობის მუშაობა და რის გაკეთება შესძლო მან მისი დაარსების შემდეგ.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებები სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლებისა, რომლებმაც გააცნეს კომიტეტს პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა. მოისმინა რა მოხსენებები კომიტეტმა, დაადგინა: გაძლიერდეს სოფლად იდეიური მუშაობა, რისთვისაც კოლექტივებთან შესდგეს მომხსენებელთა და ლექტორთა ჯგუფები ხალხში და პარტიაში იდეიური მუშაობის სისტემატიურად წარმოებისათვის.

გურიის სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბის სახელით მოხსენებას აკეთებს შტაბ. წევრი ამხ. ისიდორე ხურციძე, რომელმაც გააცნო კომიტეტს შტაბის მუშაობა და მოითხოვა ამხ. კომიტეტის წევრებიდან, რათა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ გვარდიის დამატებითი მობილიზაციის სასურველად ჩატარებაში.

ფრონტის შესახებ მოხსენებას აკეთებს გურიის სახალხო გვარდიელთა ბათალიონის წარმომადგენელი ამხ. თოთიბაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ფრონტზე მყოფი გვარდიე-

ლები თავის სიმაღლეზე დგანან და სულიერი განწყობილება მათი კარგი არისო.

კომიტეტი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და დაადგინა: ხელი შეუწყოს ფრონტსა და ზურგს შორის მტკიცე სულიერი კავშირის შექმნას, რაც დიდად გაამხნევებს ამხ. გვარდიელებს.

პრეზიდიუმის მოხსენებით წვრილი ერთეულების არჩევნებში პარტია გამოდის საკუთარი სიით. პრეზიდიუმის ასეთი შეხედულება კომიტეტმა მოიწონა და დაადგინა, რომ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამხანაგებმა, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება საზოგადოების მეტმა წევრებმა.

გურიის მეომართა ოჯახების დამხმარე კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაქუნაიშვილი, რომელმაც გააცნო კომიტეტს დამხმარე კომისიების შექმნა და მათი მუშაობა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დამხმარე კომიტეტმა შესძლო უმუშახელოთ დარჩენილ მეომართა ოჯახების ყანების დამუშავება. აგრეთვე კომისიების ენერგიული მუშაობით მოკრეფილ იქნა ქ. ოზურგეთში, ქ. ლანჩხუთში, დაბა ჩოხატაურში და ხიდისთავში რამოდენიმე ათასი მანეთი, რომელიც მოხმარდა მეომართა ოჯახებს. გურიის კომიტეტი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და სურვილი გამოსთქვა, რათა მუშაობა ამ მხრით არ იქნას შეჩერებული და მიეცეს კიდევ უფრო ფართო ხასიათი.

მოისმინა რა ცენტრალურ კომიტეტის წერილი პარტიულ ორგანიზაციების ადმინისტრატიულ და დემოკრატიულ საქმეებში უშუალო არ ჩარევის შესახებ კომიტეტი ადგენს განაგრძოს ძველი ნაცადი გზით სიარული.

საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფი პირი კომიტეტის აზრით არ უნდა იყოს დაშვებული პასუხის მომთხოვ ორგანიზაციაში, რომ ადგილი არ მიეცეს ერთ და იმავე პირს აწარმოვოს კანტროლი თავის თავზე. კომიტეტმა შეუძლებლად ალიარა ასეთი მოვლენა და დაადგინა გატარდეს ეს პრინციპი ცხოვრებაში შეძლების და გვარად.

თავდაცვის შესახებ კომიტეტმა დაადგინა რათა საჭიროების დროს, თუ ჩვენს თავისუფლებას რაიმე საფრთხე მოევლინა დარაზმოს პარტიული ამხანაგები და მოუწოდოს ხალხს, რათა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის დაცვის საქმეში.

რადგანაც ზოგიერთი პირები ბოროტად სარგებლობენ მათ მიერ მიღებული პარტიული „იავკებით“, კომიტეტმა დაადგინა, რომ ძალიანი ფრთხილად გასცენ ორგანიზაციებმა ასეთი „იავკები“ და რაც გაცემულია ის კი დაბრუნებულ და გადასინჯულ იქნას.

ერთ და იმავე პირის ორ ჯამაგირზედ სამსახურს კ-ტი დაუშვებლად სთვლის ზნეობრივათ და იურიდიულადაც, რადგან ასეთი განკარგულება მთავრობის მიერაც იყო მოხდენილი.

მდივანი **დობორჯგინიძე.**

# მუშათა შორის

**ფოთი.** მუშებსა და მწარმოებლებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მოსაგვარებლათ დაინიშნა ცენტრალური კამერა, რომლის საშუალებით უნდა მოგვარებულიყო სადავო საკითხი. კამერა შესდგა სამს ივლისს პ. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით და შეუდგა საქმის გარჩევას.

დიდი ხნის კამათის შემდეგ, იქნა განაჩენი გამოტანილი ხუთის ხმით, ოთხის წინააღმდეგ, რომ მუშებისთვის აენაზღაურებიათ გაფიცვის დროს გაცდენილი დღეების ხელფასი. მწარმოებლები ამას არ დაეთანხმენ და მოინდომეს განაჩენის გასაჩივრება; მუშები კი მოითხოვდენ განაჩენის სისრულეში მოყვანას, რაც ოფიციალურათ აცნობეს შრომის სამინისტროს რწმუნებულს და ცენტრალურ საბჭოს და მოითხოვდენ, რომ ყოფილიყო ზომები მიღებული კამერის დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ. შრომის სამინისტროს რწმუნებულმა მიიღო სათანადო ზომები და მოსთხოვა მწარმოებლებს სისრულეში მოეყვანათ კამერის დადგენილება, მაგრამ მწარმოებლებმა უარით გვიპასუხეს,—ჩვენ დღეს ფულს არ მივცემთ მუშებს, ვინაიდან ეჭვი გვეპარება კამერის დადგენილებაში. ჩვენ ამას გავუგზავნით მთავრობას და თუ მთავრობა დაადასტურებს, იმ შემთხვევაში დაგაკმაყოფილებთო. მუშების გამგეობამ დაადგინა, რომ მწარმოებლებს უნდა გადაეხადათ ხუთივე ქარხნებისა 14,050 მან., რომელიც გადაეცემოდა შრომის სამინისტროს რწმუნებულს და მუშები კი შრომის სამინისტროს რწმუნებულიდან გაიტანდენ ფულს სათანადო მოწმობით და თუ განაჩენი გასაჩივრებულ იქნებოდა, მუშები იქნებოდენ პასუხისმგებელი შრომის სამინისტროს რწმუნებულის წინაშე. ამაზე რწმუნებული დაეთანხმა და მწარმოებლებმა ხუთ ივლისს გადაიხადეს ხსენებული თანხა. აქ დიდი ხანია არსებობს მუშებსა და მწარმოებლებს შორის ბრძოლა, მაგრამ ასეთი მწვავე ხასიათი არასოდეს არ მიუღია. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, მწარმოებლები აპირობენ სინდიკატის შეკვრას ურთი-ერთ შორის და მასალის ფასის ხელოვნურათ აწევას, ტყის მუშებისაგან ხეების დაკლებულ ფასებში ყიდვას. თუ ეს მოხდა, იმ შემთხვევაში საჭირო იქნება ზომების მიღება მათ წინააღმდეგ. სინდიკატის შეკვრა კი არა, ჩემის აზრით უკეთესი იქნება, რომ ქარხნებს შეაკეთებდენ ვინაიდან ზევიდან წვიმა და ქვეშ მუხლამდი წყალია დამდგარი, რისთვისაც მუშებს ფეხზედ გამძვრალი უხდებათ მუშაობა და მოსალოდნელია მუშები იმსხვერპლოს. კიდევ საჭიროა მთავრობამ მიიღოს ზომები და აიძულოს მწარმოებლები შეაკეთონ ქარხნები.

ეს გაფიცვა მუშების სრულის გამარჯვებით დამთავრდა.

**ს. ხაფთასი.**

# ნიხრი

თფილისის ქალაქის გამგეობამ ამა წლის 8 ივნისს დაამტკიცა შემდეგი ნიხრი პირველ საჭიროების საგნებზე: ძროხის ხორცი 9 მან გირ., ფუთობით 330 მან., კამეჩის ხორცი 7 მან. გირ., ფუთობით 250 მან., ცხვრის ხორცი 12 მან. გირ., ფუთობით 450 მ., თევზი: ორაგული 12 მან გირ., ზუთხი 10 მან. გირ. სევრიუგა 9 მან. გირ., საზანი 4 მან. გირ., რძე მოუხდელი კრუჟკა 2 მან. 50 კ., რძე მოხდილი კრუჟკა 1 მან 50 კ., ყველი ადგილობრივი 15 მან. გირ., იმერული 12 მან. გირ., შვეიცარული 25 მან. გირ., ხელოვნური 8 მან. გირ., კვერცხი ცალობით 1 მან. 70 კ., ლობიო წითელი 2 მან. 80 კაპ. გირ., ლობიო გურული 3 მან. გირ., მარილი დაფქვილი 60 კ. გირ., მარილი კენჭი 45 კ. გირ., ნახშირი 20 მანეთი ფუთი.

# პროვინცია

**ახტალა.** (კახეთი) მე მინდა დაინტერესებულ პირთ გავაცნო ზოგიერთი პირობები ახტალის სამკურნალო ტალახით სარგებლობისა.

სოხუმიდან წამოსული, მთელი ოცი დღე ვიცადე თფილისში, სანამ შევსძლებდი გაგებას, თუ როდის იწყებოდა ახტალის ტალახით სარგებლობის სეზონი და შესაძლებელი იყო თუ არა ადგილობრივათ ბინის და სანოვაგის შოვნა.

ასეთი პირობების არ ცოდნით, დარწმუნებული ვარ, ბევრმა ჩემებრ შრომა და უნაყოფო ხარჯები გაწსია მაშინ, როცა შესაძლებელი იყო, ერობის გამგეობას, რომლის ხელშიც არის დღეს ახტალის სამკურნალო ტალახი, ეცნობებია დაინტერესებულ პირთათვის, როგორც სეზონის დასაწყისი, ისე სხვა პირობებიც.

ვეცდები აქაურ პირობების მოკლეთ გადმოცემას: თფილისიდან სადგურ გურჯაანამდე 6—7 საათის გზაა. რკინის გზის მესამე კლასის ბილეთი ღირს 30 მანეთამდე. გურჯაანიდან ახტალამდე ნახ. ვერსი იქნება. ტალახით სარგებლობა დაწყებულია 10—15 დღეა, მხოლოდ ოფიციალურად სეზონის გახსნას ერობის გამგეობა 15 ივლისს აპირებს. ავათმყოფები სარგებლობენ როგორც ხელოვნურათ გამთბარი ტალახით, ისე ბუნებრივით. თფილი ვანები ჯერ-ჯერობით საკმაოა და ბევრს კიდევ აწყობენ. უმრავლესობა ბუნებრივი ტალახით სარგებლობს, რომლის სითბო მზეზე 26 გრადუსამდე ადის.

თავისუფალი ბინები ჯერ-ჯერობით ბევრია როგორც ერობის მიერ გაშენებულ სახლებში, ისე მახლობელ სოფელში. ერობის ბინაზე ოთახი დღიურათ ღირს 25 მან. ერთი ტახტით და თითო ზედმეტ ტახტზე 10 მან. ღებულობენ.

თფილი ვანით სარგებლობა ღირს 30 მან., ბუნებრივი ტალახით სარგებლობა და გაბანა 10 მ. სურსათ-სანოვაგე იშოვნება, როგორც სადგურზე, ისე მახლობელ სოფლებში, თუმცა ყველაფერი მეტის-მეტათ ძვირია: ბოთლი რძე ღირს 10 მ. ყველი გირ. 20—30 მან., ხორცი 15 მან., ადგილობრივი პური 6 მან. ამ დღეებში ერობის ბინებთან მზათ იქნება სასადილოც. სეზონი, როგორც ამბობენ, გაგრძელდება სექტემბრის დამლევამდე. აღსანიშნავია კურორტის ადმინისტრაციის თუ ერობის გამგეობის ზოგიერთი უცნაური განკარგულებები: ორი სამი დღის წინათ თფილი ვანებით სარგებლობა ღირდა 25 მან., ამ დღეებში მიუმატეს კიდევ 5 მან., ოთახი ორი ტახტით ღირდა 25 მანეთი, გახადეს 35 მანეთი. ამასთან ავათმყოფებს ნებას არ აძლევენ ტალახით სარგებლობის თუ წინდაწინ ექიმს არ ეჩვენა, ექიმი კი გასაშინჯათ 100 მან. თხოულობს. ასეთი შემთხვევები, გასაგებია, რომ ძალიან უკმაყოფილებას იწვევს, როგორც ხელ-მოკლე ავათმყოფების, ისე ადგილობრივი სოფლელების მხრივ. დაინტერესებული პირები, რომლებიც უკმაყოფილოა სამკურნალო ტალახების კერძო მემამულეებიდან ერობის ხელში გადასვლის, ამ უკმაყოფილების გამწვავებას ხელს უწყობენ. საჭიროა ერობის გამგეობამ ამ გარემოებას დროზე ყურადღება მიაქციოს და ტალახით სარგებლობა უფრო ხელმისაწდომი გახადოს, როგორც მოსული ხელ-მოკლე ავათმყოფებისთვის, ისე და განსაკუთრებით ადგილობრივი სოფლელებისთვის. მართალია, ერობის გამგეობის შრომა, აქაური კურორტის შედარებით რიგიანათ მოწყობაში, დაუფასებელია და ხარჯები მათგან გაწეული ძალიანი დიდია, მაგრამ მთელი ხარჯების (თუ გინდ მეხუთედის) ანაზღაურებას ერთს სეზონში ხომ არ ფიქრობენ?

ჩემი ერთად-ერთი სურვილია ამ შემთხვევაში, ერობის მუშაობამ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოიღოს და დემოკრატიის მხრივ ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს, ამასთან ჩვენი ქვეყნის ამ დაუფასებელი განძით—ახტალის სამკურნალო ტალახით რაც შეიძლება მეტმა ავათმყოფებმა ისარგებლონ.

**ი. ცხომელიძე.**

# წერ. რედაქციის მიმართ

ღია წერილი საქართველოს რესპუბლ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს პოლკოვნიკ აბესაძეს.

დღიდან თქვენი არჩევისა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეთ, თქვენ გააფთრებული ებრძვით ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ ქალაქის მეომართა დამხმარე კომიტეტს, სადაც, სხვათა შორის, თქვენი კავშირის სამი წარმომადგენელიც შედიან, და ცდილობთ მისი ფუნქციები თქვენმა გამგეობამ ჩაიგდოს ხელში. ამისთვის თქვენი გამგეობა და პირადათ თქვენ არ ერიდებით არავითარ ინსინუაციების გავრცელებას, როგორც გაზეთების ფურცელზე, ისე მოხსენებებში და კერძო საუბარში. მე, მართალი გითხრათ, ვერ გამეგო თუ რა ასულდგმულებდა თქვენს ასეთ მოქმედებას. დღეს ჩემთვის თქვენი გამგეობის მიზნები ნათელჰყო ერთმა გარემოებამ. ჩემ წინ დევს ერთი საბუთი, რომელიც შემდეგს გვეუბნება:

„Согласно записям в книгах отдела Бухгалтерем бывшаго центральнаго продовольственнаго совета. стр. 90, союзу увечных воинов было отпущено 4-го марта с. г. по орд. № 383, накл. № 229, согласно отношенія председателя союза увечных воинов от 17-го февраля, 1919 г. № 55—50 пудов сахару головного по цене 145 руб. за пуд. всего 7250 руб., которые и получены на кассовой орд. № 1144“.

თხოვნა, სადაც თქვენ დაჭრილ მეომრებისთვის შაქარს თხოულობთ, ხელმოწერილია მთელი გამგეობისაგან, ე. ი. პოლკოვნიკ აბესაძე, მუსელიანი და თენეიშვილისაგან. შემდეგი საბუთები გვეუბნება, რომ ამ შაქრიდან გამგეობამ მხოლოდ ხუთმეტი ფუთი მიყიდა დაჭრილ მეომრებს, საიდანაც ათი ფუთი აწეულ ფასებში გაუშვა, ხოლო 35 ფუთი კი მიჰყიდა ბეითალ ქუთათელაძეს, რომელთანაც ადრევე ჰქონდა მოლაპარაკება. თქვენმა გამგეობამ ამის შემდეგ კიდევ მიიღო იმავე საბჭოდან რამოდენიმე ასი ფუთი სიმინდის ნებართვა დაჭრილებისათვის და ამ სიმინდის საქმეც დღეს გამოურკვეველია—თუ სად წავიდა, ვის ჩაუვარდა ხელში, ან რამდენმა მიაღწია დაჭრილთა კავშირამდის. რას გვეუბნება ეს ფაქტები? ისინი აშკარათ ღაღადებენ, რომ თქვენი გამგეობა ბოროტათ სარგებლობს დაჭრილთა კავშირის სახელით და ცარცვავს როგორც კავშირის წევრებს, ისე ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებს. ყველა ამის შემდეგ მე თქვენ გეკითხებით, გაქვთ რაიმე უფლება ზნეობრივი, ან იურიდიული, მიმართოთ საინტენდანტოს, რომ მან სურსათი თქვენ გადმოგცეთ, ან სამინისტროს, რომ კომიტეტის ფუნქციები თქვენს ხელში გადმოვიდეს, ან კიდევ წითელ ჯვარს, რომ მან შესახვევი მასალა და წამლები თქვენ გადმოგცეთ და არა კომიტეტს?! რა გარანტია ექნება ყველა ამ დაწესებულებებს, რომ თქვენი გამგეობა კიდევ არ მონახავს ქუთათელაძისთანა პირებს და არ გაყიდის მათზე დაჭრილებისთვის გამოტანილ სურსათს და მასალას?!

ქალაქის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების წევრი **მინადორა ტოროშელიძე.**

ქ. თფილისი 1919 წ.

# განცხადებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჩქაროთ იყიდება

**ბილიარდი.**

დიდუბეში, ანდრეევის ქუჩა № 102. იკითხეთ **მელიტონ ბაქრაძე.**

## ქ. ოზურგეთში

იყიდება ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი 10 ოთახით. იკითხეთ ნატანების ქ. სახლი დ. ერისთავისა. (2—1).

## განცხადება

ქალაქ სამტრედიაში ვყიდი ყოველ გვარ მოწყობილებას

**ერთი აფთიაქისათვის.**

შკაფებს, შტანგლაზებს, სასწორებს გირებით და სხვა მოწყობილებას მსურველს. შეუძლია იყიდოს წამლებიანათაც, მისამართი ქ. სამტრედია ფარმ. ალ. მელქაძესთან. (5—4)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ქალი **რ. გ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**

გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმ **კ. თ. ტყეშელაშვილის**

საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესე ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებისა, შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.